



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 05/09/1857

„12“ 12 2014წ.

„RMG-გოლდი“-ს გენერალური დირექტორს
ბატონ სერგეი ეგანოვს

ასლი: საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს

ბატონო სერგეი,

თქვენი 2014 წლის 12 დეკემბრის №445/1 წერილზე პასუხად, გაცნობებთ, რომ:

დღეის მდგომარეობით საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის ნაწილი გათხრილი და სრულად შესწავლილია და მისი შემდგომი კვლევების გაგრძელება უკვე შეუძლებელია, რაც დასტურდება არსებული გეოლოგიური დასკვნებით.

ამასთან, ობიექტის სამართლებრივი სტატუსის თაობაზე გამოტანილია შესაბამისი გადაწყვეტილება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანებით საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის №2/271 ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გებლევათ არქეოლოგიური ობიექტის აღების (დაშლის) თანხმობა.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი



ნ. ანთიძე